საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი აპრილის 27
1921 წ.
№ 43
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

სახელმწიფო დრამის თეატრის დირექცია, რეჟისურა და მსახიობნი ვაუწყებთ საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფო დრამის თეატრის დამსახურებულ მოკარნახის

**ბეგლარ ბეგლარიძის (ახოსპირელის)**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. საკუთარ ბინაზე მტკვარი ქ. № 1. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 20

ღრმად დამწუხარებული და უნუგეშო მეუღლე მარიამ ივანეს ასული ფარეზაშვილისა აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ ძვირფას და დაუვიწყარ ქმრის

**დავით მიხეილის ძის ფარეზაშვილის**

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ხუთშაბათს აპრილის 28-ს 12 საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე 899

ღრმად დამწუხარებული გიორგი ივანეს ძე ქარელიშვილი აუწყებს ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ძვირფას მის სიძის

**დავით მიხეილის ძის ფარეზაშვილის**

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ხუთშაბათს აპრილის 28-ს, 12 საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 900

ღრმად დამწუხარებულნი: ცოლი დარო მიხეილის ასული მამა გლახუნ ივანეს ძე, ძმები: თედორე, ივანე, სერგია და გიორგი მინდაძეები და კატო გლახუნის ასული თავბერიძისა ქმრით და შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოცდა ოთხს ამ აპრილის თარეღით საგუბერნიო ციხეში № 1 მოკლე ავამოყოფის შემდეგ გარდაიცვალა, გამოძიების ქვეშ მყოფი პატიმარი ძვირფასი

**შალვა გლახუნის ძე მინდაძე**

დასაფლავების დღე დანიშნულია ოცდა რვა ამ თვეს დილით ხუთშაბათ წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება თავის ბინიდგან ეკლესის ქუჩა № 9 (ელისაბედის ქუჩის კუთხე) მოხდება დღის 12 საათზე.

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქული დედა მინადორა, ბიძები: ილიკო და ვასო, ბიცოლები კატო და ლიდია, ძმა გიორგი მარუსა და ნინო ტურაბელიძეები, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ ხუთშაბათს აპრილის 28 ს ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულის ქ. ბათომში მარტის 18-ს ქემალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სტუდენტ ქართ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა

**შალვა სერაფიონის ძე ტურაბელიძესი**

895

## ფურცლები

18.

**ჩვენი საქმე.**

ჩვენი მუშაობა ბევრს არ აკმაყოფილებს, კიდევ მეტს სრულიადაც არ ესმის, არა თუ მოწინააღმდეგეს, მტერს, ხშირად თვით მეგობარს და ამხანაგს.

— ამხანაგო თედო, შენი წერილი რკინის გზის შესახებ მეტად სუსტი და უფერული იყო, ნუ თუ ისე დაეცი, რომ კალამი სხვა ანგარიშებს დაუმორჩილე?

— შენ, კაცო, არაფერს ამბობ რუსეთში ჩვენი საქონლის გატანის შესახებ და ალიაქოთი ააყენე, რომ მენშევიკებმა გაზიდეს—რად ფერები ამას?

— ბოლშევიკებმა თავისუფალი ვაჭრობა შემოიღეს, შენ კი ამას ებრძოდი—რად სდუმ ეხლა?

— ბოლშევიკებმა ტყვარჩელის კონცესია დაამტკიცეს, შენ კი კრინტი არ დაგიძრავს ამ დიდ საკითხზე დღეს, ხოლო მენშევიკებს კი უტყავდი „აძიობდიო“.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვისაყვედურებენ კრიტიკის სიჩლუნგეს, ეროვნულ ინტერესების დავიწყებას; კიდევ მეტი, ხელის შეშლას ვინც ეროვნულ საქმეს აკეთებს თავისი ბრძოლით ან დუმილით. არიან ჩვენში ისეთებიც, რომელთაც დუმილიც რევოლიუციონურ აქტად მიაჩნიათ.

ჩვენ ყველა ამ საყვედურებს მეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ, ხშირად გვინდა ბევრს საკითხს შევეხოთ, ფი-

...ტიკურად და ტექნიკურად ვერ ვასწრებთ, ვერ ვახერხებთ, თუმცა ხშირად მართლა ბევრსა ვთმობთ და კალმით თავისუფლებას ვზღუდავთ.

ნაივის გონია, რომ პოლიტიკური ან ეროვნული ისტერიკა პოლიტიკა იყოს, ნუ გგონიათ, რომ თმის ყალყზე დაყენებით რამე საქმე გაკეთდეს. შუბლით კედლის გარღვევა შეუძლებელია, საჭიროა დიდი სიფხიზლე და დინჯი ბრძოლა.

მაგრამ ჩვენ მაინც ყველა საკითხზე უფრო მთავარი საკითხი უნდა განვიხილოთ, რომელიც ყველა საკითხს აშუქებს და ხსნის. დიდია ჩვენთვის რკინის გზა, სტამბა, რუქები, სკოლა, ენა, ეროვნული საკითხი, მაგრამ ამ საკითხების განსახილველად თქვენ შეიარაღებული უნდა იყოთ, გაგებული გქონდეთ ის გზა, საითკენაც ხალხი მიგყავს, ის კალაპოტი, რომელშიაც სკოლას აყენებთ, ის წიგნები და სიტყვები, რომელსაც ენას მისცემ, ის გზა, რომელზედაც ივლი, ის რუქები, რომლითაც გაიკვლევენ ცხოვრების ხვეულებს.

ჩვენ ამ ბოლო დროს ორიენტაციის საკითხს ვაშუქებთ, ამ პრობლემას ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ, ვინაიდან თუ ეს საკითხი არ გამოირკვა ვერასოდეს ვერ გავიგებთ ერთმანეთს, თუ ისტორიული პირობები არ გავითვალისწინეთ ვერაფერს გავხდებით, რკინის გზაც, ლარიც, აფხაზეთიც, ყოველი საკითხი სულ სხვა სახეს მიიღებს, როცა თქვენ გაიგებთ თქვენი სარჩულით ცხოვრების ადგილს. აჭარება მტერს გაახარებს მხოლოდ.

ჩვენ რუსეთის რევოლიუციის ფრონტისაკენ მოუწოდებთ ჩვენს ხალხს. დღეს ბევრი რუსეთს მეტად ცუდად სახავს და თუ ოდესმე რუსეთი იყო სიძულვილის საგანი—დღეს ასეთი ხალხი გაცილებით ძლიერია. ეს მოხდა იმიტომ კი არა, თითქოს რუსის ჯარის შემოსვლის ქართველ ხალხს ეშინოდა, არა, ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ რუსეთი დღეს საქართველოზედ ღარიბია და მოღალბის მაგიერ იძულებულია ეტი სჭამოს ჩვენი სიმდიდრისა. კონკრეტულად ამ საზარელი პირობებისა ეს მაინც ვეუბნები ჩვენს ღარიბს და დატანჯულს ხალხს: ჩვენი ერთგულესი მეგობარი ამ ჟამად უნდა იყოს რუსეთი, რუსეთის რევოლიუცია, ვინაიდან აქ არის მისი ნამდვილი თავისუფლება.

ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რომ მრავალი ადამიანი, როგორც რუსისა, ისე სხვა ტომისა დღეს აყოლია რევოლიუციის ფეხის ხმას და წმინდა წყალს ამღვრევს, საქართველოს და რუსეთის მეგობრობის საქმეს ხელს უშლის, ის აშკარად რეაქციონურ როლს თამაშობს და ამ შავბნელ რაზმებს ჩვენ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ მთელის ჩვენის ღონეებით. რევოლიუციის ყოველი ძალა უნდა შეერთდეს რევოლიუციის ამ ხულიგნების ასალაგმავად, მაგრამ ამ ხულიგნებმა ჩვენ არ უნდა დაგვაბრმაოს, ჩვენ აუცილებლივ უნდა ვიცოდეთ ის ხალხი, რომელთანაც გვიწევს სიარული. გაბრაზება, გაბოროტება, სიძულვილი არ ანთავისუფლებს ქვეყანას ცხოვრების წინაშე პასუხისმგებლობიდან. ქვეყანამ უნდა გაიგოს ვინ არის მისი თანამგზავრი, ვისთან უნდა წავიდეს, საით მიყავს ცხოვრებას და ამ გზის სისწორით გამოძებნა ყოველ ღირებულებაზე ძვირფასია.

მთელი ჩვენი მოქმედება გამომდინარეობს რევოლიუციის პროცესთან შეგუებიდან, გვინდა არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ რევოლიუციის ფრონტს, რუსეთის სტიქიას.

რუსეთის კოალიციის წინააღმდეგ წასვლა მოსპობს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს, დაღუპავს ზნეობრივად, ქონებრივად, კულტურულად.

ის, ვინც გვირჩევს ბურჟუაზიულ ევროპას დავამყაროთ იმედი—უდიდესი მტერია ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა, არსებითად დამანგრეველია ჩვენი ათასწლოვანი სოციალ-ეკონომიური კულტურისა.

საბჭოთა სისტემა, ეს სული რუსეთის რევოლიუციისა საერთაშორისო მაშტაბით გაიმარჯვებს, სოციალიზმი შესცვლის კაპიტალიზმს ეხლანდელი რევოლიუციით და არა რომელიმე მშვიდობიანი დროის გასვლით, ამიტომ ეს სული რუსეთის რევოლიუციისა უეჭველად უნდა მივიღოთ და მთელი ენერგია, მთელი ყურადღება ამ მხარეს მივაქციოთ.

დავფიქრდეთ ერთს წუთს. მიმოვიხედოთ ირგვლივ. ვინ და სად არის ჩვენი მეგობარი? სალტესავით შემოგვერტყა განსაზღვრული და გარკვეული ორიენტაციის სახელმწიფოები, თვით ჩვენი სახელმწიფოს საქმე რევოლიუციის ძალას უჭირავს, ამ პირობებში ერთად ერთი აზრი, ერთად ერთი გონიერება ერთად ერთი სიბრძნე ჩვენი ხალხისა ამ სისტემის მიღება, მასთან კავშირია, ამას მოითხოვს სარგებლობა, ანგარიში, რევოლიუციის და სამშობლოს ინტერესები.

რად არის ესოდენ მტკიცე და გარკვეული ჩვენი შეხედულება?—ჩვენი შეხედულება დამყარებულია არა ჩვენს პირადს სურვილებზე, არამედ ცხოვრების ძალთა განწყობილებაზე.

შევიცქიროთ ცხოვრების ზღვაში და ვნახოთ მისი ვითარება.

ამ ჟამადაც ევროპას მთელი ყურადღება რუსეთზეა მიპყრობილი. ევროპა ძველი კაპიტალისტური კულტურაა რომელიც თავის უღელქვეშ იყოლიებდა ამერიკას, ავსტრალიას, აზიას და აფრიკას. ამ ქვეყნების განაწილებისათვის ევროპამ, ინგლისმა და გერმანიამ გააჩაღა მსოფლიო 1913—1917 ომები რამაც მოიყვანა რუსეთის რევოლიუცია რომლის უმთავრესი მიზანი შეიქმნა კაპიტალიზმის გაუქმება. კაპიტალიზმმა ომი დაიწყო ქვეყნების დამორჩილებისათვის, მაგრამ ომი გათავდა რევოლიუციით და კაპიტალიზმის გაუქმების მიზნით. ამას შემდეგ სასტიკი ომი სწარმოებს რევოლიუციასა და რეაქციას შორის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შუა, ახალი კულტურა კოლექტიური ნებისყოფისა ებრძვის ძველს კულტურას თავისუფალ კონკურენციისას.

1918 წლიდან სასტიკი ომია ამ ორ ძალთა შორის. საითაა გამარჯვება? 1918—19 წ. წ. კაპიტალიზმმა პოლიტიკურ-მილიტარული ომით მოინდომა რუსეთის რევოლიუციის განადგურება. ეს ომი ევროპის ბურჟუაზიამ წააგო, მოსკოვიდან ბოლშევიკები ვერ გარეკა.

მაგრამ ბრძოლის ამ პროცესში რა მოხდა ევროპაში?

ჩვენ ვიცით, ანტანტამ გაიმარჯვა. ისტორიულად, გამარჯვებულ ქვეყნებში რევოლიუცია არ ხდება, პირიქით მრეწველობა ჩქარდება დამშეულ ბაზრების არსებობით, კონტრიბუციით და ტყვეებით. საფრანგეთის ოქრომ საოცრად გაზარდა 1871 წლიდან გერმანიის კულტურა. 1905 წლიდან უჩვეულო ტემპით განვითარდა იაპონია. ყველა ამბობდა: გამარჯვებული ანტანტა დაასამარებს რევოლიუციას, მუშებს გაამაძღრებს, დააწყნარებს, ნორმალური კულტურა წარიმართება.

მართლაც, ანტანტის ცხოვრება ჩვენ გვიჩვენებს, რომ 1918 წლის პირველს ხანაში ეკონომიკას გამოცოცხლება დაეტყო, ვაჭარ-მრეწველნი ამოძრავდნენ, ფაბრიკები გაიხსნა, მუშებს ადგილები მიეცა, მაგრამ სულ მცირე ხანში უჩვეულო ამბავი გამოირკვა. გამარჯვებული ანტანტა გამარჯვებული-ლონიერი არ ყოფილა. ძველად თუ ბუმბერაზები ომობდნენ და ერთი მხარის გამარჯვება ნიშნავდა მის ძლიერებას, დღეს გამოირკვა, რომ ორ ძალთა შორის ჭიდილის დროს გამოზრდილა მესამე ბუმბერაზი, რომელიც გასაქანს არ აძლევს ევროპის გამარჯვებულ მხარეს. ეს მესამე ძალა ევროპის ყოფილი მონები და ყმებია: ავსტრალია, კანადა, ბრაზილია, ამერიკა, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია. ოკეანეს გაღმა ქვეყნებმა საოცარი კონკურენცია გააჩაღეს და ერთბაშად წელი მოუღუნეს ინგლისსა და საფრანგეთს.

დღეს ანტანტის ეკონომიკა ტირილის და ვაების ხანაშია, წელგადღუნული, დაცემული, გამოფიტული, უკმაყოფილო ხალხის წინაშე უიმედო და დასნეულებული.

ავიღოთ ფაქტები. თანამედროვე ეკონომიკის სული საწვავი მასალაა. ვისაც საწვავი აქვს ის არის მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი. ჩვენ ვსთქვით: ომამდე ეკონომიურად ევროპა ბატონობდა დანარჩენ ქვეყნებზე. 1919 წლიდან ეს მდგომარეობა შეიცვალა. ერთს მხარეზე მრეწველობის ძველი ქვეყნები—ევროპა, მეორე მხარეზე მრეწველობის ახალი ქვეყნები—ამერიკა, კანადა, ავსტრალია, მექსიკა, ინდოეთი და სხ.

ომში ევროპამ ევროპაზე გაიმარჯვა, მაგრამ ეკონომიურად გამარჯვებული ევროპა დაქვეითებული გამოდგა იმ ქვეყნებზე, რომელზედაც ომამდე გამარჯვებული იყო. აი ამიტომ გამარჯვებული ევროპის ამბები უნდა განვიხილოთ დამარცხებულის თვალსაზრისით, აი ამიტომ გამარჯვებულს ევროპაში ყველა ის ამბავია მოსალოდნელი რასაც ველით დამარცხებულს მხარეში.

ომამდე ყველაზე მეტი დამუშავებული საწვავი მასალა—ნახშირი ინგლისს ქონდა. ამიტომაც ბატონობდა. ხელოვნური და ბუნებრივი მარაგი ნახშირეულისა, ესე იგი უკვე მიღებულის და ჯერ კიდევ მიუღებელის, მიწაში პროფ. ტეგის ცნობით (1913 წლისათვის) ირიცხებოდა:

| | | |
|---|---|---|
| გერმანიაში | — 94,9 | მილიარდ ტ. |
| ინგლისში | — 189,5 | „ „ |
| რუსეთში | — 57,6 | „ „ |
| საფრანგეთში | 17,9 | „ „ |
| შეერთ. შტატ. | 3.839,11 | „ „ |
| კანადაში | — 1.234,3 | „ „ |
| ჩინეთში | — — 995,6 | „ „ |
| აზიაში სულ | — 1.279,6 | „ „ |
| ავსტრალიაში | 57,8 | „ „ |

სიმდიდრის ამ სურათის შემდეგ ვნახოთ ნახშირის წარმოება. სულ პოტენცია ნახშირისა უდრის:

ევროპაში—301 მილიარდ ტ.
აზიაში—1.280 „ „
ამერიკაში—5.105 „ „

ნახშირი ამოღება უდრის ინგლისში — 1914 წ. 1920 წ.
265 მ. ტ.—243 მ. ტ.
შ. შტატებში — 460 „ „—656 „ „

ინგლისთან ერთად დაეცა გერმანიაც მაგ. რურის მიდამოებში მიუღიათ
1913 წ. — 114,5 მილ. ტ.
1919 „ — 71,2 „ „

ანალოგიური სურათია ზემო სილე-ზიაშიაც.

ევროპის ნახშირის სამეფოში წარმოე-ბა დაეცა, დაეცა ამავე დროს ევროპის ნახშირის ვაჭრობა და გაიზარდა ახალი ქვეყნების ვაჭრობა. გაუტანია უცხოეთ-ში მ. ტ. დაახლ. 1913 წ. 1920 წ.

| | 1913 წ. | 1920 წ. |
|---|---|---|
| ინგლისს | 73,4 | 27,5 |
| ამერიკას | 20,17 | 34,5 |

თუ როგორ ფლქვნის და სჯამს ნახ-შირის მხრივ ამერიკა ევროპას ეს სჩანს შემდეგიდან. 1913 წ. ამერიკიდან საფ-რანგეთს უყიდია რაღაც 47 ათასი ტო-ნა ნახშირი, 1920 წლის მარტო 6 თვე-ში უყიდია 3,2 მილ. ტონა ესე იგი ასოცჯერ მეტი, 1915 წ. შვეციას უყი-დია ამერიკაში 46 ათასი ტონა, 1920 წ. კი იყიდა 3,4 მილ. ტ., ჰოლანდიამ იყიდა 1915 წ. 10 ათასი ტონა, 1920 წელში კი 3 მილიონი ტონა.

გადავიდეთ ეხლა სათბობ მასალის მეორე მთავარს ძალაზე ნავთზე, შემ-დეგ გადავშალოთ მთელი სურათი ახალ და ძველი ქვეყნების ეკონომიური მდგო-მარეობისა და თქვენ დაინახავთ იმ კა-ტასტროფას, რომელსაც მიადგა ძველი ევროპა.

თედო ღლონტი.

## „ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქი"

ტფილისში გამოვიდა ამას წინად სომხურ ენაზე კომუნისტური კრებული „ერინტის" სახელწოდებით. კრებულის მესამე რვეულში მოთავსებულ მეთაურ წერილს ეწოდება: „გაუმარჯოს საბჭო-თა ამიერ-კავკასიას". წერილში სხვათა შორის სწერია:

„ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქის თავზე, შოვინისტურისა, გახუნებული-სა და სახელგატეხილი ტილოს ნა-ცვლად, ფრიალებს მესამე ინტერნა-ციონალის ბრიალა წითელი დროშა, რომლის გარშემო შემოკრებილან დღეს,—წლების განმავლობაში მწა-რისა და სისხლით შეღებილი ცდე-ბის შემდეგ,—ჩვენი ქვეყნის ხალხური მასსები.

გაუმარჯოს განმათავისუფლებელ წითელ არმიას!

გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციო-ნალს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუ-ციას!

როგორც სჩანს, ასე ესმით ზოგიერთ, სომეხ—„კომუნისტს ჩვენში მომხდარ ამბების აზრი. ნუ თუ დასაჯერებელია, რომ კომუნიზმი, მაღალი პრინციპები, მესამე ინტერნაციონალი, ბრიალა დრო-შა, წითელი არმია ყველა ეს საჭირო იყო მხოლოდ იმისთვის, რომ საქარ-თველოს დედა-ქალაქს დაერქვას ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქი? და შნაკურ იდეოლოგიასთან, რომ ტფილისი ამიერ-კავკასიის ქალაქია ნათესაური კავშირი ხომ არ აქვს კომუნისტურ დროშით გა-მოცემულ „ერინტის"?

## დროებითი შეთანხმება

**საფოსტო ურთიერთობის შესახებ ადერ-ბეიჯანისა და საქართველოს სოცია-ლისტურ რესპუბლიკებს შორის.**

საქართველომ ერთის მხრივ და აზერ-ბეიჯანმა მეორე მხრით, რომელიც ხელ-მძღვანელობენ რა სურვილით დაამყა-რონ და ხელი შეუწყონ ორთავ რეს-პუბლიკას შორის მეგობრული ეკონო-მიური ურთიერთობა. გადასწყვიტეს დაამყარონ დროებითი შეთანხმება ორ-თავ ქვეყნის საფოსტო ურთიერთობის და ტრანსპორტისთვის და დანიშნეს ამისათვის თავისი წარმომადგენელი, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა—კოლეგიის წევრი ფვეჯიძია და აზერბეიჯანის სო-ციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ამავე რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის კოლეგიის წარ-მომადგენელი ივან ივანეს ძე გრაჩევი. ხსენებულმა რწმუნებულებმა, წარუდგი-ნეს რა ერთმანეთს თავთავიანთი რწმუ-ნებანი, რომელნიც იცნეს სათანადო ფორმით და კანონიერი წესით შედგენი-ლათ-შეთანხმდნენ შემდეგზე: 1) ვინაი-დან ბათომ-ბაქოს შუა დაწესდა პირ-დაპირი მიმოსვლა საფოსტო მატა-რებლებისა, დაინიშნოს ორთავ რესპუ-ბლიკის ფოსტის გადასატანათ აზერბე-იჯანის მხრივ სამი დიდი საფოსტო ვა-გონები, ხოლო დანარჩენი, საჭიროების და კვალათ, საქართველოს მხრივ იმ ან-გარიშით, ტფილისიდან ბაქოში ფოსტა იგზავნებოდეს ყოველ დღე. ამ ვაგონე-ბის საშუალებით უნდა იგზავნებოდეს ერთი რესპუბლიკიდან მეორეში დაკვე-თილი და უბრალო კორესპონდენციები, ამასთან წონა და რაოდენობა აღნიშნუ-ლი კორესპონდენციისა შეზღუდული არაა და როგორც ერთი. ისე მეორე არავი-თარ ანგარიშს არ აწარმოებენ. წერილებ-ში ფასს იხდევინებიან საზოგადო წესით იმ შინაურ საფოსტო ნიხრის მიხედვით, რომელიც არსებობს ამ ქვეყნებში. წერი-ლები, რომელიც იწონიან დაწესებულ წონაზე მეტს, არ გაიგზავნება. მიწერ-მოწერის ერთნაირობის გულისთვის ორთავ ქვეყნისათვის ვალდებულათ ცნობილი, რომ უბრალო წერილის წო-ნა არ აღემატებოდეს 15 გრამს, დაკვე-თილისა—46 გრამს, დროგამოშვებითი გამოცემა და ბანდეროლიანი ამანათები არა უმეტეს იმ წონისა, რომელიც აღ-ნიშნულია დადგენილებაში ფოსტის ნაწილის შესახებ, ნაწილი 1 გამოცემა 1909 წლისა, მუხლებში 118 და 114. თავის გახვევით და შინაარსით „უკა-ნასკნელი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმავე დადგენილების მუხლებს 101, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110 111, 112, მოსამსახურენი, რომელნიც მისდევენ საფოსტო ვაგონებს, იცვლე-ბიან აქსტაფაში, სადაც ისინი უცვ-ლიან ერთმანეთს, კანონის თანახმად, ფოსტას, რომელსაც ისინი მისდევენ.

3. დაუძლეველ შემთხვევათა გარდა, ორთავ ქვეყნის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატები კისრულობენ შემდეგ პასუხისგებას.

ა) დაკვეთილ წერილების დაკარგვი-სათვის 500 მანეთი ყოველ წერილზე ბ) ფოსტის გადასახადი არ დაუბრუნ-დება ფოსტის ამანათის გამგზავნს, გინ-დაც, რომ წერილი დაიკარგოს, ან სრუ-ლიად მოისპოს.

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდგან და საჭიროების ხელშეკრულების დამდებ მხარეთა დიპლომატიურ რატიფიკაციას, რის დასამტკიცებლად ორივე მხარის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებაზე და თავისი ბეჭედი დაასვეს. დაიწერა სამ ეკზემპლიარად ქალ. ტფილისში 1921 წ. აპრილის 22-ს. აზერბაიჯანის ფოსტა-ტელეგრაფის სა-ხალხო კომისარიატის წარმომადგენელი ი. ი. გრაჩევი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა ხელმოწერილ შეთანხმების ეკზემპლიარით.

## სომხეთში

ერევანი. შაუმიანის სახელობის მუშა-თა სახლში შესდგა სომხეთის კომპარ-ტიის ერევნის ორგანიზაციებისა და პროფკავშირების საზეიმო სხდომა. დარ-ბაზი ხალხით გაჭედილი იყო. აუდიტო-რიაში იყვნენ წარმომადგენელი მშრო-მელ მასისა, პარტიული ფართო წრეე-ბისა და მთელი რიგი პასუხი[სმგ]ებელ პარტიულ ამხანაგებისა. საქართველო-დან ჩამოსულს ამხ. ორჯონიკიძეს, ეგე-კერს და შალვა ელიავას შეხვდნენ მქუ-ხარე ტაშით და ავარჩიეთ. ამხ. ახალ-ანის შესავალ სიტყვის შემდეგ, სიტყვა ეძლევა ამხ. ორჯონიკიძეს, რომლის ტრიბუნაზე გამოსვლას შეხვდნენ დაუ-სრულებელ მქუხარე ტაშით. ამხ. ორ-ჯონიკიძემ თავის დიდს სიტყვაში გამო-აფანტა ის სიცრუე „საშიშ ბოლშევიკე-ბის" შესახებ, რომელნიც ვითომც თავისი ბატალიონები იერიშებს აწარ-მოებენ. რაც ელანდება დაშნაკელთა მთავრობას.

ჩვენი სიძლიერე, სთქვა ამხ. ორჯო-ნიკიძემ, სიმართლისთვის ბრძოლაშია. მტრის ხელში ერთი იარაღი—სიცრუეა და იმისი შემწეობით მოქმედობს ჩვენ წინააღმდეგ. მთელი სიცრუე რუსეთისა და მის წითელ იმპერიალიზმისა შესა-ხებ ფუჭი და უსაფუძლოა. მთელს მსო-ფლიოში მხოლოდ საბჭოთა რუსეთი პატიოსნად და გულწრფელად ატარებს ცხოვრებაში პრინციპებს პროფესიონა-ლურ თვით გამორკვევის თავისუფლე-ბისას და ეხმარება დაჩაგრულ ერებს. საბჭოთა რუსეთი „ბატონი კი არა—სტუმარია". დაშნაკელები ლანძღავდნენ და აგინებდნენ რუსეთის შეიარაღებულ გლეხებს და მუშებს, დიდებულ წითელ არმიას. ჭორები საბჭოთა ხელის უფლე-ბის ძალადობისა და დაჩაგვრის პოლი-ტიკის შესახებ ურცხვად ვრცელდება ყოველ გზა-ჯვარედინზე. მაგრამ ყო-ველმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთის წითელი არმია სომხეთის საზღვრებში—ბატონი კი არა—სტუმა-რია. მოვა დრო და ისიც წავა. მისცემს რა სომხეთის მშრომელთა ცხოვრების მშვიდობიანად მოწყობის საშუალებას.

ჩვენთვის საშიში არავინაა". ეხლა, როდესაც ამიერ-კავკასიის ყველა რეს-პუბლიკაში, საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფ-ლება არსებობს და დამყარდა რა მჭიდ-რო, პატიოსნური და ძმური კავშირი, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენთვის საშიში აღარა-ვინაა. ჩვენ, ძლიერნი ვართ ჩვენი სიმართლით, ჩვენი რესპუბ-ლიკების დიდი საბჭოთა რუსეთთან კავშირით ჩვენ გაბედულად შეუდგე-ბით საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლას. გაუმარჯოს დამოუკიდე-ბელ საბჭოთა სომხეთს.

ამხ. შალვა ელიავას გამოსვლა.

ამხ. ელიავამ აღნიშნა ამიერ-კავკა-სიის რესპუბლიკების მჭიდრო კავ-შირის პერსპექტივები. ამიერ[...] შობს ამხ. ელიავა, ჩვენ [...] [...] [...] სომხეთის წითელ არმიები [...] დაიცავენ მუშურ გლეხურ ამ[...] სიის საზღვრებს რა საჭირო ლი მათგანი მზად იქნება მეორეს.

ამხ. მრავიანი აღნიშნა გლეხობის აჯანყების მნ[...] საქართველოში საბჭოთა ხ[...] ბის დამყარების საქმეში, [...] საფუძველი ჩაუყარა ამიერ[...] საბჭოთა რესპუბლიკების მ[...] შირს. ამხ. მრავიანის სიტყ[...] ტინებენ ტაშის კვრით და „ვაშა ლორის გლეხობის გამ[...] დიდებულ ხელმძღვანელთ, [...] ლაზიანს". კრება ინტერნა[...] მღერით ზეიმით ესალმება [...] ანს. ამხ. ორჯონიკიძე წით[...] შის ორდენით აჯილდოებს ამ[...] ნიანს და ოსეპიანს, რომელთ[...] ყების გადამწყვეტ წუთში გამოიჩინეს. კრების სახელით მებელი დეპეშები ეგზავნება [...] ბეიჯან—აზერბ. რევკომის თ[...] რეს ამხ. ნარიმან ნარიმანოვ[...] და საქართველოს რევკომის მარეს ამხ. მახარაძის სახელზ[...] გაეგზავნა მისასალმებელი დ[...] სეთის კომუნისტურ პარტიის ლურ კომიტეტს. ინტერნა[...] სიმღერით კრება მხურვალედ [...] ბა მსოფლიო რევოლიუციის ამხ. ლენინს. ტაშის კვრით მი[...] რუსეთის წითელ არმიის ბელა[...] კის და სხვ.

პარტიულდ ამხ. ჩამოსვ[...] ერევანი. აპრილის 16-ს მო[...] გამოვიდნენ ამხ. ბექზადიანი, [...] ნი და ლუკანინი. მათ მოაქვ[...] ფაკტურა და სასოფლო მე[...] მანქანები.

## ახალი ამბ[ები]

— ბ. ახოხპირელის (ბეგ[...]) გარდაცვალება. გუშინ ხანმოკ[...] [...]

— [...] მიმოსვლა [...] ამიერ კავკასიის საბჭოთა [...] ლიკის გზათა გაერთიანების გამ[...] თებულ გზათა უფროსმა წინ[...] გასცა 23 აპრილს გააუქმონ [...] რი ფორმალობა ბარგის და [...] მიღების და გადაცემის დროს [...]

## ბათომთან ბრძოლა და საბჭოთა ძალა-უფლების დამყარება საქართველოში

3.

**ოსმალები ბათომში და დარბევა 17 მარტს.**

13 მარტს საღამოს 6 საათზე მოვ-ცილდით ქობულეთის მიდამოებს და 7 საათი იქნებოდა რომ მატარებლით დაუახლოვდით ბათომს. ბარცხანაში შე-სვლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო თურქულ დროშებმა, რომელიც ბევრ ადგილას ფრიალებდა. ამ მოვლენამ პირდაპირ თავზარი დაგვცა, ვინაიდან არ ვიცოდით რაში იყო მდგომარეობა. ჩვენი ეშელონი მიემატა იმ მრავალ ეშელონების რიცხვს, რომლებითაც გა-ჭედილი იყო საბარგო სადგური. ჩვენი დაბანაკება ქ. ბათომში იმაში გა-მოიხატა, რომ რაზმით დავრჩით ვა-გონებში საბარგო სადგურზე.

მხოლოდ მეორე დღეს გავეცანით ქალაქში საქმის ვითარებას. საქართვე-ლოს ყოფილ მთავრობის დასტურით ქემალ ფაშის ჯარის ნაწილები შემო-სულა ქ. ბათომში და აჭარის მუსულ-მანობის ნაწილი დიდის ამბით შეხვე-დრია ოსმალთა—ანგორის ჯარს. ამის შედეგი იყო ის, რომ მუსულმანთა სახ-ლებზე თუ მაღაზიებზე გამოფენილი იყო თურქული დროშები, რაც მეორე დღესვე მთავრობის განკარგულებით მოიხსნა. ქემალის ჯარის ნაწილის შე-სვლა ქ. ბათომში რომ მთავრობის და-სტურით იყო, ამას არ უარყოფს ყო-ფილი მთავრობის თავმჯდომარის მოა-დგილე მოქ. გრ. ლორთქიფანიძე, რო-მელსაც 16 მარტს დამით პირდაპირი მავთულით საუბარი ჰქონდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრთან მოქ. მ. ორახელაშვილთან. უკანასკნელის შეკითხვაზე „ვითომ ბათომი დაიკავეს ოსმალეთის ჯარებმა" ო, მოქ. გრ. ლო-რთქიფანიძემ უპასუხა: „ბათომში მარ-თალია არის ანგორის ჯარის პატა-რა ჯგუფი, რომელიც შემოვიდა ჩვენი თანხმობით"-ო. (იხ. დაწვრილე-ბით „საუბარი პირდაპირი მავთულით ლორთქიფანიძესა და ორახელაშვილის შორის". გაზეთი „სოციალისტ-ფედე-რალისტი" № 17. 20 მარტის 1921 წ.) რასაკვირველია ეს მოვლენა მნიშვნელო-ვანია იმ მხრივ, რომ მაშინ როდესაც ჩვენი ჯარი პირისპირ ებრძოდა რუსე-თიდან მოსულ ჯარებს, ამავე დროს ზურგში მთავრობის დასტურით შემო-დის ოსმალთა ჯარის ნაწილები, რო-მელთა მთავრობას სამხედრო მოქმედე-ბებში კავშირი აქვს დადებული რუსე-თის ჯარის სარდლობასთან, ამგვარად საქართველოს ჯარები მოჰყვა ორ ცეცხლს შუა: წინ რუსები, ზურგში ოსმალები. ასეთმა მოვლენამ თავის თავად ფრთები შეასხა ოსმალთა ფარულ განზრახვებს და ქიაზიმ ბეიმ აშკარად იწყო ქ. ბათომის და მის ოლქის ოკუ-პაცია, რათა ფაქტის წინაშე დაეყენე-ბია რუსეთის ჯარი და მთავრობა. მაგ-რამ ანგარიში შეეშალათ და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

მაშინ როდესაც საქართველოს ჯარე-ბი ფრონტს ამაგრებდა გურიის საზღვარ-ზე, მაშინ როდესაც მთელი გურია ფეხზე დადგა, მაშინ როდესაც უკან დახეული ქართველი მხედრობა ამ ადგილებში იყრიდა თავს და ემზადებოდა საბრძოლ-ველად, იმ დროს ქ. ბათომში სხვა და სხვა დაწესებულებებს იკავებდა ოსმალ-თა ჯარები, რომელთა წინააღმდეგ მოქმედება არ შეეძლო პანიკით შეპყრო-ბილი მთავრობის წევრებს ასეთ მდგო-მარეობის შექმნის გამო, რასაკვირვე-ლია, თვით ქალაქშიაც გაძლიერდა პა-ნიკა. ეს პანიკა იყო უმთავრესი უბედუ-რება, რაც იწვევდა დიდ არევ-დარევას ზურგში და აი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ აგრეთვე მიზეზი საქართველოს ჯარის მიერ ერთგვარად ბრძოლის იერის დაკარგვასაც.

რომ თვით მთავრობა შეიქმნა პანიკი-სა და არევ-დარევის წყაროთ, ეს ჩვენ დავინახეთ ქუთაისში, ასევე განმეორ-და ბათომშიც. ამ მხრივ დამახასიათე-ბელია დამფუძნებელ კრების ერთი და უკანასკნელი სხდომა ქ. ბათომში, სა-დაც ყველა არა მენშევიკურმა ფრაქ-ციებმა მთავრობას გამოუცხადეს უნ-დობლობა. აღსანიშნავია ამ სხდომის დადგენილების მესამე მუხლი, რომელ-შიც აღნიშნულ იქმნა შემდეგი: „ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და თვით შეიქმნა პანიკისა და არევ-დარევის წყაროდ".

პანიკამ 17 მარტს თავის უმწვერვა-ლესობას მიაღწია. დილიდგანვე ათას-ნაირი ხმები ვრცელდებოდა ხალხში, ქაღალდის თათრული ლირა იწევდა არა საათობით, არამედ წუთობით. ნა-საღილევს ლირამ აიწია 35,000 მანე-თამდის და უფრო ზევით. სურსათზე ფასმა სახლაპროდ იმატა. ფუთი ქადის ფქვილი 30—40 ათასზე ავიდა. ავტო-მობილების გუგუნი განუწყვეტლივ გაი-სმოდა, ვინაიდან ნავთსადგურს აწყდე-ბოდა ყველა ის ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა სტამბოლისკენ გამგზავრება. იჭეირთებოდა გემები, რომელიც და ილებდა მგზავრებს. უცაბედი იყო ყოველივე ეს, რადგან ბათომამდის ჯერ რუსის ჯარებს დიდი მანძილი ჰქონდა გამოსავლელი, მხოლოდ ოსმალთა ჯა-რებს არ ეძინათ და მათთან ერთად მრავალ ნაძირალებს, რომელნიც ეპი-რებოდნენ ბათომის აკლებას. ხმები იმის შესახებ, რომ იმ ღამეს დარბევა უნდა მომხდარიყო, ძლიერდებოდა.

რანაირი განწყობილება იყო ამ დრო-ის ჩვენი ჯარის იმ ნაწილებში, რომე-ლიც ბათომში იდგა? რასაკვირველია ამ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო. ყველანი ბოლოს და ბოლოს განურჩევ-ლათ უყურებდნენ ასეთ შექმნილ მდგო-მარეობას, მხოლოდ ოსმალთა ფაცა-ფუ-ცი მოსვენებას არავის აძლევდა. საბარ-გო სადგურზე დაბანაკებულ ჯარში სრუ-ლი სიმშვიდე იყო. თანახმად ციხის უფ-როსის ბრძანებისა ყველგან გაძლიერე-ბული ყარაულები იდგა ეშელონებთან.

აღსანიშნავია ერთი რამ: სანამ პანიკა ჩამოვარდებოდა ქალაქში, თანახმათ სა-რდლობის ბრძანებისა ჯარის ნაწილებს უნდა წარედგინათ მხედართა სიები, რომელს სურდა მთავრობასთან და სარ-დლობასთან ერთად საზღვარ გარეთ გა-სვლა და რომელს დარჩენა. რასაკვირ-ველია ასეთი სიები სდგებოდა. ნაწი-ლებში იყო მცირე ნაწილი მსურველო-ბისა, რომელსაც სურდა საზღვარ გარეთ გასვლა, მაგრამ კი, დიდი უმრავ-ლესობა წინააღმდეგი იყო. მაგრამ ყოველივე ეს შექმნილ მდგომარეობის გამო თვისთავად ჩაიშალა და საზღვარ გარეთ გასულ მხედართა რიცხვი სულ ათობით ამოიწურებოდა. გადაწყვეტი-ლება და აზრი იყო ერთი:

„გასაჭირში ჩვენ ხალხთან და ჩვენს სამშობლოში გვირჩევნია ყოფნა, ვიდრე უცხოეთშიო?

მხედრობამ მოიყარა თავი მთავარი შტაბში, სადაც მოელოდა ამბების გა-გებას, მაგრამ ამბავი იყო ერთი:

მთავრობის ზოგიერთი წევრები უკვე გემზე არიან, მათთან არის მთავარ სარ-დალი და აგრეთვე ისეთი პირები, რო-მელთა წასვლა გაჰკვირვებასაც კი იწ-ვევს ხალხში. მაგრამ რას დაეძებს, ევ-როპას ხომ ნახავს.

ნავთსადგურზე აურ-ზაურია. მრავალი საქონელი, სურსათი, რომელთა გაგზავ-ნა არ მოხერხდა ავსებს ნავთსადგურ-თან მყოფ არე მარეს. დატვირთული ვაგონები სამხედრო მასალით, ტანისა-მოსით, კონსერვებით, შაქრით.

შ[ე]სცქერი ყოველივე ამას [...] გეწვის. სამი კვირის განმა[...] ჩვენი შემხვედ რაზმის ჯარის[...] თვის, საიდანაც საჭირო იყო, ვიღეთ ვერც სურსათი, ვერც [...] ლი; აქ კი ოხრათ უამრავი [...] ყრია. დაუდევრობაა ყოველივე თუ არაფერი.

უკვე ღამდებოდა, როდესაც [...] მყოფი ამხანაგები შევგროვ[...] შეუარეთ ზოგიერთ ნაცნობებს, [...] თაც უნდოდათ ჩვენთან ერთად ყოფნა, ვაგონებში საბარგო სად[...] უკვე მოძრაობა შეწყდა ქალაქ[...] სადგურის მიდამოებშიც აღარავ[...] თუ არა გემებთან, საითაც ა[...] ლები კვლავ მიჰქრიან. ნავთ[...] რამოდენიმე გემი დგას. ვინაიდან [...] ღამებული იყო, ჩვენ აშკარათ [...] როგორ მოქმედობს რადიო [...] ერთ უცხო სამხედრო გემზე [...] წყნარია. ქალაქთან ერთათ ზ[...] მილს მისცემია. რამოდენიმე წ[...] სცქეროდით ამ სურათს, რის [...] გავემგზავრეთ ქუთაისის ქუჩით [...] სადგურისაკენ.

იმ საღამოსვე უნდა შემ[...] როგორც გზაში გადმოგვცემ[...] კომი, ე. ი. რევოლიუციონური ტეტი, რომელიც შესდგებოდა [...] სატუსაღოში მყოფ კომუნისტ[...] ეს კომიტეტი ჩაიბარებდა ძალ[...] ბას და ასე ამგვარათ მოეღებო[...] ლო მენშევიკურ მოქმედებას ს[...] ლოში. ასეთი იყო ხმები, მაგრა[...] წმუნებით ჩვენ არაფერი ვიცოდ[...]

მივეჩქარებოდით რაზმისაკე[...] ყავით 7 კაცი; ორს ჩვენგანს [...] თოფი. გასავლელი გვაქვს [...] ქუჩა, რომლის რაიონში იყრ[...] სხვა და სხვა ნაძირალები და [...] სჩანს აქედან დაიწყება დარბევა[...] თო თათრის ბაზრის რაიონში ფაცა-ფუცი იყო. გადარბოდნ[...]

ლოდლი-ბქსტამფა და ნავთლუღ სოლან-ლუღში. აღნიშნულ პუნქტების მოსამსახურეთა შტატი უნდა მიელინებულ იქმნეს სხვა მიზნებისთვის. უფროსი და ს.ხ. კომ. მირონოვი.

— **დამატებითი მატარებელი.** ბათომსა და ნოტანებს შორის დანიშნულია ორი დამატებითი სამგზავრო მატარებელი № 42 და 43 სურსათის გადასაზიდათ.

— **ზაი. ომი.** ბათუმში ჩამოსული სანავთო კომიტეტის თავმჯდომარე სერებროვსკი თავისი თანამშრომლებითურთ მიემგზავრება დღეს გემით „ჯორჯიათი" საზღვარ-გარედ. ამავე გემით 200 ფუთი მანქანის ზეთი იგზავნება. სერებროვსკის გამგზავრება დაკავშირებულია ნავთის გადატანის მოწყობასთან და მომავალ ნავთის მრეწველობის ბედთან.

— **ბათომი.** უკანასკნელ დღეებში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა ანატოლიის ნავთსადგურიდან ექვსი მოტორიანი ნავი, იქით წავიდა 4. ჩამოსულ მეზღვაურების სიტყვით ანატოლიაში მწვავე ნაკლებობაა მარილისა და ნავთის. ჩამოსული ვაჭრები ამბობენ, რომ ანატოლია მოუთმენლად ელის საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღდგენას, კონსტანტინოპოლიდან ბათომის ნავთსადგურში მოვიდა 2 გემი „ვენეცია" და „სპარტა". გემებს თან ჩამოყვნენ თანამშრომელნი „ლოიდ-ტრიესტინა"-ს სააგენტოში. ამ კვირაში მოელიან გემებს „ტრანს ფერდინანდს" და „რემოს".

-- **სახურხათო ბარგი.** რადგან ქუთაისისა და რიონის სადგურზე ბევრი სურსათი იყრის თავს სამგზავრო მატარებლით გამოსაგზავნათ ექსპლოატაციის უფროსმა ნება დართო მიაბან ტფილისში მიმავალ სამგზავრო მატარებელს ცალკე საბარგო ვაგონი.

-- **მატარებლები ნავთით.** 23 აპრილს ბაქოდან და ახტალაში ჩამოვიდა სამარშრუტო მატარებელი, შემდგარი 50 ვაგონისაგან. იმავე დღეს ახტალიდან ბაქოში გაიგზავნა სამარშრუტო მატარებელი 50 ქვაბისაგან შემდგარი.

— **საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში.** საგარეო ვაჭრობის განყოფილების იმპორტის ქვე-განყოფილების გამგემ ამხ. მელიქ-კარაკოზოვმა წარუდგინა საოპერაციო კოლეგიას მოხსენება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში; რათა დაკავებულ იქმნეს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე უცხოელთა საქონელი და დაჩქარებულ იქმნეს იმპორტის ქვე-განყოფილების მუშაობა, საჭიროა, გამოცხადებულ იქმნეს, რომ უცხოელთა ყველა საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შესყიდულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ზედმეტი საქონელი უნდა გადაიქმნეს ექსპორტის ფონდათ, მეზობელ რესპუბლიკების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ შესყიდვის გეგმა-შეწონილებისთვის და სარგებლობისთვის პირველათ აუცილებლათ საჭიროა მოეწყოს სახელმწიფო კრედიტი სავაჭრო ოპერაციებით. იმპორტის ნაყოფიერებისათვის საჭიროა გაიგზავნოს კაპიტალისტურ ქვეყნებში შემსყიდველი კომისიები ფართლეულებით. საქართველოს ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოპერაციო კოლეგიის ამ წლის აპრილის 2 დადგენილებით განცხადება ცნობილია სამართლიანათ.

— ქალაქის საზოგადო სააავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა 22 აპრილის სხდომაზე დაადგინა: სასწრაფოთ გახსნას ორთაჭალაში ამბულატორია. იმავე კრებაზე დადგენილ იქმნა აუწყონ ყველა დაწესებულებებს, რომ შრომის სახალხო კომისარიატის 14 აპრილის ცირკულიარის თანახმად, სამკურნალო დახმარება გადავიდა სააავადმყოფო კასის ხელში და კასის გამგეობა სასწრაფოთ ღებულობს ზომებს სამკურნალო დახმარების სათანადოთ მოწყობისათვის, მანამდე კი სააავადმყოფო კასსა წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას, რომელნიც არ შედიოდნენ ყოფილ ჩექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოების ამბულატორიაში და თავის ხარჯით წამლობდნენ, განაგრძონ წამლობა; 15 აპრილიდან წამლობა სააავადმყოფო კასის ხარჯზე ჩაირიცხება.

სააავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს სთხოვა დაუთმოს აბასთუმნის და ბორჯომის სანატორიებში 50 საწოლი კაცისა და 30 ქალისთვის. კასაში მონაწილეთათვის, რომელთაც ეჭირებათ სანატორიული წამლობა.

სააავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა გამოსთქვა აზრი ნავთლუღში ამბულატორიის გახსნის საჭიროების შესახებ, რადგანაც იქ თავმოყრილია რამდენიმე მსხვილი წარმოება: ქალაქის სასაკლაო, სახალხო მეურნეობის საბჭოს ფეხსაცმელების სახელოსნო, აგურ ხანა და ბევრი წვრილი სახელოსნოები. განზრახულია ამბულატორია გაიხსნას სამი განყოფილებით: შინაგან და საბავშვო, ქირურგიულ და ქალთა სნეულებისთვის.

---

ღმორბოდენ დუქნებიდან და ყავახანებიდან თათრები. მზადება აშკარა იყო. ყველც ცოტა არ იყო შევფიქრიანდით, მაგრამ ჩვენ დანახვაზე სწრაფათ იმალებოდენ თათრები. როგორც სჩანდა ჩვენი შეეშინდათ. გზა გზა ვამჩნევდით დუქნებში დაგროვებულ ჯგუფებს; დუქნების დარაბები გამოხურული იყო ტ შიგნით აქა-იქ სინათლეც მოსჩანდა. გავცილდით მშვიდობით თათ.რის ბაზრის რაიონს და მივედით რაზმში. საბარგო სადგურის რაიონში სუყველა ფეხზეა. ბევრი მიდის ქალაქისაკენ, ბევრიც რჩება. ყველგან სიფხიზლეა. ყარაულები თავიანთ ადგილებზე არიან. საათის 11 იყო, ნავთ სადგურის მიმართულებით შევამჩნიეთ, ცეცხლს, რომელმაც თანდათან იმალა. იქიდანვე მოისმა თოფის ხმა, ჯერ ერთი, მერე კიდევ; თანდათანობით გახშირდა სროლა. ერთი საათის განმავლობაში განუწყვეტელი თოფის სროლა ისმოდა ქალაქის მიმართულებით. რასაკვირველია ამ სროლის დროს სუყველა ფეხზე ვიყავით. მთელი საბარგო სადგურის რაიონში, მიუხედავად იმდენ ჯარის ნაწილებისა, დიდი წესიერება სუფევდა. ერთხანს შესწყდა სროლა და სუყველანი დაწყნარდენ. ეს იყო უკვე ნაშუაღამევი. ზოგნი ძილს მიეცენ, ზოგიც სთვლემდა. გავიგეთ, რომ ქალაქში დარბევაა, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცოდით. ღამის სამ საათამდის მე უნდა გამეწია უფროსობა ყარაულობისათვის. კარგი ღამე იყო და ირგვლივ მყოფ ნაწილებთანაც კავშირი გვქონდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გაისმა სროლა, რომელმაც დიდხანს გასტანა. ავედით ვაგონის სახურავზე, მაგრამ არაფერი სჩანდა, ცეცხლიც კლებულობდა. სამხედრო გემზე კი კვლავ ნათლად მოსჩანდა რადიო სადგურის მოქმედება. სროლა გრძელდებოდა.

ხახო ასლანიშვილი.

---

# რადიო

**ცნობები საბერძნეთიდან.**

**ბათომი.** უკანასკნელ ბერძნული გაზეთები ოფიციალურად ადასტურებენ საბერძნეთის ჯარის უკან დახევას, პრინც ანდრიას და გენერალ ტახოპულოს სიკვდილს.

**არაბების აჯანყება მაროკოში.**

**ბათომი.** პარიზიდან იტყობინებიან, რომ არაბების აჯანყება მაროკოში ძლიერდება. საფრანგეთის მთავრობა ცდილობს აჯანყება ახსნას გერმანელების ინტრიგებით.

**ჰაერში.**

**ბათომი.** ლონდონში დაამთავრეს დიდი აეროპლანის გაკეთება, რომლის ძალა 4 ათას ცხენის ძალას უდრის და 100 მგზავრს წაიყვანს. ჰაეროპლანი იფრენს ლონდონსა და ნიუ-იორკს შორის.

**საბერძნეთის ბანკის ემისია.**

**ბათომი.** ფრონტზე მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით საბერძნეთის ბანკმა მოახდინა ახალი ემისია 500 ათას დრახმისა. საბერძნეთის ფულის კურსი სტამბოლში ძლიერ ეცემა.

**თალათ ფაშის დასაფლავება.**

**ბათომი.** თალათ-ფაშას დასაფლავებამ ბერლინში დიდებულათ ჩაიარა, მასში მონაწილეობა მიიღეს მრავალმა ეგვიპტელმა, ინდუსმა, მარსელმა და არაბმა. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შეამკო კუბო წარწერით: დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და ერთგულ მეგობარს.

**კომუნისტური მოძრაობა გერმანიაში.**

**ბათომი.** უკანასკნელი გერმანული გაზეთები ამოწმებენ გერმანიის კომუნისტურ მოძრაობის გრანდიოზულ ხასიათს დამახასიათებელია შემდეგი ცნობა: ქალაქ გირგოსში ქალაქის თავმა დახმარება სთხოვა ამერიკის სამხედრო ხელის უფლებას; ამერიკის ჯარმა დაუყონებლივ დაიჭირა ქალაქი და დაატყვევეს კომუნისტები. ქალ. ბეტლანში მოხდა გამწვავებული ბრძოლა. კომუნისტების მეთაური გეინბერგი გმირულად მოკლულ იქმნა ბრძოლის დროს. რურის რაიონში დაიღუპა 50 კომუნისტია

**დისპუტი საბჭოთა რუსეთის შესახებ ამერიკაში.**

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან: კარნეგის ინსტიტუტში საჯარო კამათზე საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ დიდი უმრავლესობა მომხრე იყო საბჭოთა რუსეთის ცნობისა. მიტინგის ხელმძღვანელები შეეცადნენ კრების ჩაშლას, რომ შეუძლებელი ყოფილიყო რეზოლიუციის გამოტანა. აღელვებული ხალხი მუქარით მივიდა ესტრადასთან და ძლივს მოიშორეს პოლიციის შემწეობით.

**ბექირ სამი ბეიმ განაცხადა.**

პრესას კონსტანტინეპოლში: მე ლოღიკურად მიმაჩნია სომხეთ-ოსმალეთის საზღვრების მოწესრიგების შესახებ ლაპარაკი ეტნოგრაფიულისა და ნაციონალური კულტურის საფუძველზე. ჩვენ გვსურს, რომ სომხეთი ბედნიერი და სრულიად დამოუკიდებელი იყვეს და სომხეთის ტერიტორია თავისი სიდიდით აკმაყოფილებდეს სომხეთის სახელმწიფოს ეკონომიურ და ნაციონალურ მოთხოვნილებას.

**საფრანგეთის ბურჟუაზია და ფასების დაწევა.**

შარლ ჟიდი საფრანგეთის პრესაში ააშკარავებს საფრანგეთის ბურჟუაზიის სურვილებს, რომელიც მიმართულია ფასების დაცემის წინააღმდეგ ბურჟუაზია მალავს საქონელს, რომ იმით რაგორმე შეაჩერონ საქონელზე ფასების დაცემა.

**გერმანიის ქვეშევრდომებს ეკრძალება ინდოეთში წასვლა**

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ გერმანიის ქვეშევრდომებს 5 წლის განმავლობაში აეკრძალათ ინდოეთში შესვლა.

**საყოველთაო განიარაღება.**

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ გარდინგი შეიტანს კონგრესში საყოველთაო განიარაღების პროექტს. ამ საკითხზე გარდინგს მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისის და იაპონიის ელჩებთან.

**ჩემბერლენი.**

ბონარ ლოუს ადგილი ჩემბერლენმა დაიჭირა.

**ბათომი.** არზრუმიდან ტრაპეზონით იუწყებიან, რომ ქემალისტებმა დაშნაკელთა რაზმები გაუშვეს აზრუმის ვილაეთში. დაშნაკებს როცა საზღვარზე გადადიან, ოსმალები იარაღსა ჰყრიან აზრუმიდან ლტოლვილ სომხებს ოსმალები გზავნიან რიზესა და ტრაპეზონში. პირველ ლტოლვილნი უკვე გაჩნდნენ ტრაპიზონში, მათი ნაწილი მიდის კონსტანტინეპოლში.

**დამოკიდებულება პოლონეთთან.**

**მოსკოვი.** პოლონეთის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელმა დომბსკიმ პოლონეთის სეიმში განაცხადა, რომ უნდა დაიწყოს მუშაობა პოლონეთ-რუსეთის შერეულმა კომისიამ, რომელიც განიხილავს მოლაპარაკების მხარეთა პრეტენზიებს და ვალდებულებებს. საზავო ხელშეკრულების დასამტკიცებელ სიგელების ურთიერთი შეცვლის შემდეგ, რომელიც ნამდვილად მოხდება ხელშეკრულების თანახმად, მაისის 12 ვარშავაში მივა საბჭოთა მთავრობის ელჩი.

**გაფიცვების მოლოდინში ინგლისი.**

**მოსკოვი.** ინგლისის რკინის გზელთა დოკერებმა, მემანქანეთა და მუშათა შავორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს რეზოლიუციები, რომლებითაც ჰგმობენ შეთანხმებულ ბელადების საქციელს და გაფიცვისკენ მოუწოდებენ.

**ინგლისში უმუშევრობა იზრდება.**

**მოსკოვი.** ორ კვირაში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 170,000 კაცით და ავიდა სულ 1,670,000 კაცამდე.

**მდგომარეობა გერმანიაში აჯანყების შემდეგ.**

**მოსკოვი.** საქსონიაში საშინლათ გაძლიერდა უმუშევრობა, რომელიც ხდება დიდ უკმაყოფილების მიზეზათ.

**ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების გამო.**

**მოსკოვი.** ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ აქვს საბუთი უკმაყოფილი იყვეს იმ დონისძიებით, რომლითაც რუსეთის საბჭოთა მთავრობა ანხორციელებს ამას წინედ დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას.

**სახურხათის გადასახადი.**

მოსკოვი სახალხო კომისრების საბჭომ შეადგინა ჯამი წლიური გადასახადისა კარტოფილზე, ქერნახულზე და სხვა. თესლებზე. რუსეთში, უკრაინისა და თურქესტანის გამთელებით გადასახადი უდრის: ქერნახულისა 240 მილიონ ფუთს, 423 მილიონ ფუთის მაგივრად 1920 წ. ზეთის თესლებისა 12 მილიონ ფუთს, 24 მილ. ფუთის მაგივრათ, კარტოფილი 60 მილ. ფუთს, 112 მილ. ფუთის მაგივრათ. ყველა მეურნეთათვის გადასახადის რაოდენობა ისაზღვრება ყოველ კერძო შემთხვევაში მჭამელთა რიცხვის მიხედვით ოჯახში აღნიშნულ ადგილის მოსავლიანობის მიხედვით, გადასახადის რაოდენობა სახნავი მიწის ერთ დესიატინაზე განსაკუთრებული ცხრილის მიხედვით წესდება.

**წარმოების გაძლიერება.**

**მოსკოვი.** მუშათა ქარხნებმა ნიჟნი-ნოვგოროდში ხვნა თესვის წითელი კვირის დროს სასოფლო მეურნეობის წარმოებითი და შემკვეთებული მუშაობა გააძლიერეს 130 პროც. ჩვეულებრივ დროსთან შედარებით.

**მთავრობის ტერორი რუმინიაში.**

**მოსკოვი.** რუმინიის კომუნისტურ პარტიის მომავალ ყრილობის გამო რუმინიაში თვალსაჩინო კომუნისტების დევნა და დატუსაღება გაძლიერდა. ტერორი განსაკუთრებით მძვინვარებს მოლდავიასა და ბესარაბიაში. ბუქარესტში დაატუსაღეს რუსეთიდან დაბრუნებული ამხანაგები რაბინი და პოპოვი.

**ხარკოვი.**

ცენტრალურმა სატყეო განყოფილებამ შეიტანა მიწათ-მოქმედების კომისარიატში პროექტი, რათა ტყეები გასწმინდონ ფიჩხისა, ნაფოტებისა და ხის ძირებისაგან. მეტად საშიშოა ტყისათვის, მით უმეტეს, რომ ტყეები სავსეა ამ მასალით.

**შუამავლობის უარყოფა**

**ლიონი.** სახელმწიფო მდივანმა ნაიუზმა, მოილაპარაკა რა პრეზიდენტ ჰადრინგთან გერმანიის მთავრობის თხოვნაზე შუამავლობის შესახებ, უარი განაცხადა ამ შუამავლობის გაწევაზე. ამერიკის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რომ გერმანელებმა მოკავშირეებს მისაღები წინადადება წარუდგინონ და რომ მოლაპარაკება განახლდეს.

---

# ბეთხოვენის საღამო.

აპრილის 22 ტფილისის კონსერვატორიის მოწაფეებმა იდღესასწაულეს მუსიკის უდიდესი გენიის-ბეთხოვენის დაბადების 150 წლის თავი. კონცერტის დაწყებამდე კონსერვატორიის მასწავლებელმა ე. დ. ყორღანოვმა, რომელსაც ბეთხოვენის შესახებ ნაშრომი აქვს, მოკლე სიტყვაში აღნიშნა ბეთხოვენის მნიშვნელობა, მისი შემოქმედება ახალი საუკუნის თანასწორობის და თავისუფლების იდეებით აღფრთოვანებული. ბეთხოვენს იზიდავდა კომუნიზმის იდეა, იგი ოცნებობდა ფულის სისტემის გაუქმებაზე და მის სანაცვლოთ ნატურით ფასის გადახდის სისტემის დაწესებაზედ. საღამოს პროგრამაში შეტანილი იყო ბეთხოვენის საუკეთესო ნაწარმოები: ფორტეპიანოსთვის სონატები, კონცერტი და რომანსები სკრიპკისათვის და ბეთხოვენის ერთ-ერთ საუკეთესო კვარტეტის ნაწილი. აღმასრულებელმა კონსერვატორიის მოწაფეებმა პროგრამა შეასრულეს დიდის დაფიქრებით და ტეხნიკური სიფაქიზით, მწყობრათ და ლამაზათ ჩაიარა კვარტეტმა საშუხაროა, რომ ამ კონცერტმა არ მიიზიდა უფრო დიდი ყურადღება დიადი-მეამბოხის სახელს, ამ ჭეშმარიტ რევოლიუციონერის არა მარტო თავის შემოქმედებაში, არამედ ყველა თავის აზრებით და თავის ცხოვრებით, ამ დიადი მუსიკოსის ხსოვნას შეშვენის სახალხო დღესასწაულით აღნიშვნა. საჭიროა მისი მე-4 სიმფონიის დადგმა. ამ სიმფონიაში დიდებულმა გულთა-მხილავმა წინასწარ იგრძნო მთლად კაცობრიობის განთავისუფლება და მისი შეერთება სიხარულით აღსავსე ძმურ კავშირში.

**ნ. ნ. ხოდოტოვის სტუდია.** საკამერო თეატრში შესდგა ნ. ნ. ხოდოტოვის სასცენო-ხელოვნების სტუდიის მეორე გამოსაცდელი წარმოდგენა. წარმოდგენაში სჩანს ყველა ნაწყვეტების სერიოზული მომზადება, და გრძნობით სტუდიის ხელმძღვანელის რეჟის-რობაში გაწვრთნილი ხელი თვით ნაწყვეტების შერჩევა კი ამ საღამოზე არ იყო ისე კარგი, როგორც პირველ საღამოზე. სჩანს, ნ. ნ. ხოდოტოვი გაიტაცა დრამატიული [illegible] და ამან აშკარად ავნო სტუდიის საქმეს. ეს [illegible] დრამატიულ ნაწყვეტზე „შურის მაძიებელი". ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენამ დაგვანახვა, რომ ნ. ნ. ხოდოტოვის სტუდიას ჰყავს ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდობა, რომელსაც წინ აქვს დიდი მომავალი.

**სახელმწიფო ოპერაში.** ამ უახლოეს დღეებში სახელმწიფო ოპერაში პირველად, ამ მიმდინარე სეზონში, დაიდგმება ოპერა — „ჩიო ჩიო-სანი" (ქალბატონი ბატტერფლეი) ოპერის ახალი დირიჟორი ამხ. ჩუგუნოვის დირიჟორობით.

**სახალხო განათლების კომისარიატის სახელოვნო განყოფილებაში.** სახელოვნო განყოფილების სხდომაზე გრ. რობაქიძის თავმჯდომარეობით, გადასწყდა დაარსდეს ყოველ განყოფილებასთან შემდეგი სექციები: 1) კინოსექცია, 2) სახელმ. თეატრების მართვა-გამგეობისა 3) თეატრალურ განყოფილებისა, სალიტერატურო განყოფილებასთან: 1) სალიტერატურო განათლების სექცია და 2) საგამომცემლო სექცია, საგამომხატველო განყოფილებასთან: 1) საპედაგოგო 2) სამუზეუმო და 3) სიძველეთა დამცველი სექცია. ამის გარდა სათეატრო და სალიტერატურო განყოფილებასთან მოწყობილი იქმნებიან ეროვნულ უმცირესობათა სექციები — რუსული და სომხური სახელოვანო განყოფილების საქმეთა მმართველათ მოწვეულია ამხ. ი. ზურაბაშვილი. განყოფილების ყველა გამგეთ მინდობილი აქვთ. თანამშრომელთა შტატების შემუშავება.

**სახელმწიფო დრამის თეატრში.** სახელმწიფო დრამა დასადგმელად ამზადებს ა. წერეთლის პიესას „თამარ ცბიერის" ვერხარნის „აჯანყების" ინსცენიროვკა. სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სახელოვნო განყოფილების სათეატრო სექციას განზრახული აქვს ამ უახლოესს მომავალში გადიდოს ვერხარნის „აჯანყების" სურათები. ამისათვის უკვე დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა.

---

# ლაზების ძველი და ახალი

(დასასრული)

რომაელთა შემდეგ ლაზებზედ ერთობ დიდი კულტურული გავლენა ჰქონდათ ბიზანტიელთაც, ამათგანაც ლაზებმა ძრიელ ბევრი რამ შეისწავლეს და ამ შენასწავლით იგინი კარგათ დასახელოვნდენ. აქ ჯერეთ კიდევ დავასახელებთ ერთს გარემოებას, რის გაკეთების ოსტატობა ლაზებმაც რომაელთაგან შეისწავლეს, იგი ბიზანტიელთა ხელში უფრო განავითარეს, ეს გარემოებაც გახლავთ საეკლესიო ზარების ჩამოსხმის ცოდნა და მისი ამბავი და ძვირფასათ საეკლესიო ნივთების და ხატების კეთება, რასაც თანა სდევს დიდი ანტიკა ხელოვნური ისტორია. ამის ცხადი საბუთი არის ის გარემოება, რომ ლაზები ამის ცოდნით დიდათ ბრწყინავდენ ძველათ.

ამის მაგალითია ხახულის მღვთის, მშობლის ხატის გაკეთების საქმე და ისტორია, რაც დღეს გელათში ასვენია, ანჩის ეკლესიის ხატის ისტორია, რაც დღეს ტფილისში ასვენია, იშხნის ეკლესიის ხატის ისტორია, პარხალის და სხვათაც. სხვებს არ ვახსენებთ, მარტოთ ესენიც კმარა იმის საფუძვლათ, რომ ჩვენ ლაზების ძველს კულტურულათ შემძლეობაზედ ვილაპარაკოთ.

მიუთითებ მარტოთ აწინდელ ლაზთა შვილებს, ესენი ნუ შეშინდებიან იმ გარემოებას, რომ იგინი სჯულით მუსულმანები არიან და მათ მამა-პაპათა კულტურული მოქმედების ნიშან წყალი კი ქრისტიანური ნაშთების და განძის გარშემო ტრიალებს, გაიცნან აწინდელმა ლაზებმა ამ განძეულთა ხელოვნური და მხატვრული ცოდნა და იქიდამ დაფასონ თავის წინაპართა კულტურული შემძლეობა. კულტურის ისტორიის კარი ღია გახლავსთ და იქ ეკრიფება ყველა მასალები რაცკი კულტურას შეეხება და მის აღორძინება განვითარებას.

იგი ვისიც უნდა იყოს, გინდ ქრისტიანის, გინდ მუსულმანთა და თუნდა ჩინელთა, საქმე და საგანი ხელოვნურათ და მხატვრულათ ნაკეთების ისტორიის მასალები გახლავსთ საჭირო და მათი ახსნა. ამიტომ ლაზთა შვილებს უჩვენებთ კიდევ თავიანთ ძველს წინაცხოვრების ცნობებზედ და ვურჩევთ, რომ მათ აუცილებლათ უნდა გაიცნან თავიანთ წინაპართა კულტურულათ მომზადების ისტორია.

თუ ლაზები ამას არ გაიცნავენ და თავის ისტორიას არ შეისწავლიან, მაშინ იგინი ველურის მდგომარეობიდამ ვერ გამოვლენ და ვერც ოსმალებს დააღწევენ თავს, ვერც მათს საყვედურებს და მუნათს გადარჩებაინ, რომელნიც ლაზებს ყოველთვის ასე აყვედრიან და ამუხათებენ:

ლაზები ოსმალებმა დაგაწინაურეთ, ჩვენ დაგიხსენით ქართველების მონობისაგანა, ჩვენ დაგაყენეთ თქვენ განვითარების გზაზედ, ჩვენ აგიხილეთ თვალები და მოგეცით ნათელი ცხოვრება და შეგხება ყველა სახელოსნო საქმეთა წარმატებაში, ამას გარდა ჩვენ მოგეცით ისლამის წმინდა სჯული, თქვენ თქვენი ანბანი არ გქონდათ და ანბანიც ჩვენ მოგეცით, ერთის სიტყვით ველური ხალხი ჩვენ რიგიან, შეგნებულ ხალხათ გაგხადეთ. ლაზები თუ საქართველოს ისტორიას დაუახლოვდებიან და ნამეტნურ შეისწავლიან ლაზისტანის ერის კულტურულად ცხოვრების ისტორიას, მაშინ მათ შეეძლებათ, რომ ოსმალებს მისცენ ასეთი პასუხი.

თქვენ, ოსმალებს, რა ცოდნა და კულტურა გქონდათ, თვით უკულტურონი ეხ ჩვენთვის აბა რა კულტურა და ცოდნა უნდა მოგეცათო, სრულიადაც არაფერი, ჩვენ თქვენგან არამც თუ შევისწავლეთ სხვა და სხვა ცოდნანი, არამედ ჩვენ თქვენს ხელში ყოფნით მოვისპენით და გავქრით ჩვენის კულტურულის შემძლებლობით თვით ჩვენის ისტორიის ფურცლებზედ, ჩვენ ისე დავკნინდით თქვენს ხელში, რაის საშუალებითაც უკანასკნელს ხანაში ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი ჩვენის ძველის კულტურის და ამის გამო ჩვენ ველურ ხალხათ ვიქეცით, გავნადირდით, ამიტომაც ოსმალებმა ივენხედ ლაპარაკს თავი უნდა გაანებოთ.

საქართველოს ისტორიის შესწავლა და ნამეტნურ ლაზების კულტურულ ცხოვრების ცნობებიც თვით ლაზებსაც აამეტყველებს და პირში ენას მისცემს, ასეთი ფარისევლებით და დაწინაურებით ლაზები სრულიათ გამოიცვლებიან და ეს რომ მოხდება უსათუოდ, ამასაც მოვიყვანთ აქ, ეს საბუთები მისცემენ ოსმალთა პასუხს. მხოლოდ ლაზებმა კი თვალები უნდა გაახილონ და იცოდნენ ის გარემოება, რომ რაც იგინი იყვნენ იმ დროს, როცა ლაზისტანი თავისუფალი იყო და როცა ლაზებიც ქართულს განათლების და კულტურას იძენდნენ, მის მერე, როცა ლაზები ოსმალთა ხელში გადავიდნენ, მერე იგინი სულ გადასხვაფერდნენ და გაველურდნენ, დღეს სულ სხვები არიან ამიტომაც იგინი გადასხვაფერდნენ.

დღეს ლაზები ის აღარ არიან და აღარც ის კულტურა აქვსთ, რაც იმათ იცოდნენ, ანუ თავიანთ თავისუფლების დროს აქვნდათ, ახლა ამის დასამტკიცებელ საბუთებსაც სულ თითო-თითოს მოვსთვლით, რომ ტყუილი არავის ეგონოს. ლაზების წინა დროების ისტორიიდამ, ანუ 1630 წლიდამ აი რა იყვნენ ლაზები და მათ რა ცოდნა აქვნდათ.

ლაზებში XII საუკუნიდამ სჩანს რომ ქართული წერა-კითხვა ყველა ლაზმა იცოდა, როგორც კაცებმა ისე ქალებმა, ესენი ქართული ასოებით სწერდნენ ლაზურს სიტყვებს, ამის ცოდნა ლაზისტანში შენახულ იქმნა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდისაც, რის წიგნის საბუთი გახლავსთ ლაზელ ბეგის შაინოღლის ოჯახი, სადაც ქართული კითხვა ყველამ იცოდა ამ ოჯახის წევრთა შორის.

ლაზებში არ იყო არც ერთი სოფელი, რომ იქ ეკლესია არა ყოფილიყოს ვახუშტის თქმით ზოგს სოფელში ორი ეკლესიაც იყო, წირვა-ლოცვა ლაზებში სრულდებოდა ქართულათ, რადგანაც ლაზებს საეკლესიო ენით ქართული ენა მიაჩნდათ. ქადაგება კი მღვდლებმა ლაზურათ იცოდნენ. ზოგს ლოცვებსაც ქართულად ამბობდნენ.

ყველა ეკლესიის გვერდით აქვნდათ სამრევლო სკოლები, სადაც სწავლა სწარმოებდა ლაზურს ენაზედ, სამღვთო წერილს კი ასწავლიდნენ ქართულს ენაზედ, რადგანაც ქართული ენა ლაზებისთვის სამღვთო ენა გახლდათ, ანუ საეკლესიო.

საეკლესიო ნივთებს და ხატებს აკეთებდნენ შიგვე ლაზისტანში თვით ლაზები, მათ ამის ხელობა ისწავლეს ქრისტეს სჯულის მიღების შემდეგ, ანუ ანდრია მოციქულის დარიგებით, ზოგი ბიზანტიიდამ ისწავლეს და ზოგიც მესხეთიდამ და ქართლ-იმერეთიდამ.

სამღვდელო, და სამღვდელმთავრო და ბერების შესამოსლებს ლაზისტანშივე აკერებდენ და ჰკერავდენ ლაზელი ქალები; შესამოსლების მოქარგვა და მოქსოვაც მათ იცოდნენ, ამის ცნობის დამაკმაყოფილებელია თვით უძველეს დროის შესამოსლებზედ ოქრო ვერცხლის ქსოვილებით მოქსოვილებიც.

ლაზებში მეურნეობა და პურის თესვა იცოდნენ, სთესდენ ქერს, ჭვავს და ღომსაც, სიმინდის თესვა ლაზისტანში შემოვიდა მეჩვიდმეტე საუკუნედამ, სიმინდი აქ შემოიტანეს პირველად რომის მისიონერებმა იტალიიდამ. ამას ასაბუთებს ის ცნობებიც, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეზედ წინეთ სიმინდის ხსენება ლაზისტანში სახსენებლათაც არ ყოფილა.

ლაზები მევენახეობასაც მისდევდნენ დიდათ და ესენი ვენახების ტყეებს თვით აშრავლებდენ და მრავლად აშენებდენ ვაზს, აქედამ გამოუწურავიათ ღვინო იმოდენი, რომ იგი ლაზებს კარგად ჰყოფნიდათ და უცხო ქვეყნებშიაც გაჰქონდათ გასაყიდათ, როგორც ბიზანტიაში და სლავიანთა ტომებშიაც.

ვენახებში დიდათ აშრავლებდენ ლიმონს, ფორთოხალს, ლეღვს, ზეთის ხილს, კაკალს, თხილს, წაბლს და ბევრსაც სხვებს. ლაზები ხილითაც ვაჭრობდეს უცხო სახელმწიფოებშიც.

საქონლის, ანუ ოთხ-ფეხის გამრავლებაც კარგად იცოდნენ და მრავლად აშენებდენ მწველელ საქონელს ძროხას, ცხვარს, თხას და სხვა და სხვაც ბევრს ასეთებს. იცოდნენ კარგათ და სახქებოთ გარეულთ ნადირის მოშინაურებაც. ამის ოსტატობას ხელს უწყობდა ლაზისტანის ადგილ მდებარეობაც.

ფრინველის მოვლა-მოშენებაშიაც მარდნი იყვნენ და თვით ქათმის მოშენებაც ისე მრავლად იცოდნენ, რომ ქათმის კვერცხებიც კი ისე ბევრი აქვნდათ, რომ ბიზანტიაშიაც გაჰქონდათ და იქ ჰყიდენ კაი ფასებში.

ლაზებმა იცოდნენ თვით კარგათ წისქვილების ქვების თლა და წისქვილების კეთებაც. მეჩვიდმეტე საუკ. ლაზისტანში პურის საცხობათ თონეები სცოდნიათ და კეცებიც.

იცოდნენ კარგათ მეზღვაურობა, ნავებით მგზავრობა და სითხულიც, ამას ათონ უსლარიც მოგვითხრობს.

იცოდნენ ჩინებულათ მეთევზეობა, თევზის ჭერა, ბადეების ქსოვა და სხვაც ბევრი ასეთი,

მატყლის შეძენაც და ბამბის მოშენებასაც მრავლათ მისდევდნენ, რაც ლაზებს ზოგი რომელთაგან აქვნდათ შესწავლილი და ზოგიც ბიზანტიელთაგან.

ლაზებში იყვნენ მრავლათ ისეთი ხელოსნებიც, რომელნიც აკეთებდენ სპილენძის ქვაბებს, კოკებს, ლიტრებს და სხვა ასეთ ჭურჭელსაც.

იყვნენ ისეთ მეჭურჭლენიც, რომელნიც აკეთებდენ თიხის ლიტრებს, კოკებს, დოქებს, თონეებს, ქვევრებს და ბევრსაც სხვა ასეთებს და ხამეტნურ ჭურჭელს.

იყვნენ მეფუტკრენიც, რომელნიც ფუტკრის მოვლა მოშენების დიდის ხალისით მისდევდენ და თაფლიც გამოჰყავნდათ მრავლათ. ნახეთ ამაზედ ზემოთ.

იყვნენ ლაზებში ფეიქრებსაც, როგორც მამაკაცთა, ისევე დედაკაცთა, ესენი ქსოვდნენ და აკეთებდენ ლაზისტანის ერისთვის ყველაფერს ნართეულობას. ასე, რომ უცხო ტომთაგან ნართული ნართი არ ესაჭიროებოდათ.

ლაზებში ქებული იყო ყველა სახმარებელ იარაღის მკეთებლები. სახელოსნო იარაღსაც ესენი აკეთებდნენ, მაგალითებრ დურგლის იარაღს, მჭედლის კალატოზის და სხვაც ბევრი ასეთის.

იყვნენ ხელოსნები მრავლათ დურგალი, კალატოზი, ხურო და სხვანიც იმდენი, რომ ესენი სამუშავოთ გადმოდიოდნენ ქართლში—და კახეთშიაც, მესხეთ ჯავახეთში და იმერეთშიაც რომ ყოველთვის სავსე იყო ასეთის ხელოსნებით.

იყვნენ ლაზებში ოქრომჭედლებიც, რომელთაც გამოჰყავნდათ ყველანაირი ოქროსი და ვერცხლის სხვა და სხვა მეფერადებული ნივთები, ყველა ამ ნივთების ოქროს და ვერცხლის შოვნაც თვით უკვე ლაზისტანში იყო, რადგანაც ამის მადნებიც შიგ ლაზისტანშია და ამის ოსტატობის დახვეწის ზოგი რომელთაგან აქვნდათ შესწავლილი და ზოგიც ბიზანტიელთაგან.

ლაზებში იყვნენ ისეთი ხელოსნებიც რომელთაც იცოდნენ კარგათ მოჭრა და გამოყვანა მარმარილოს ქვების, ამათი ჯერეთ გახეხვა და მერე გალიპვა კარგათ.

ლაზებმა იცოდნენ აგრეთვე სხვა და სხვა ფერადი საღებავი წამლების გამოყვანა გამოდნობაი რომელთა მადნებიც იგივე ლაზისტანში გახლავსთ მოძებნილი ჯერეთ რომაელების ფლობის დროს და მათ შემდეგ ბიზანტიელების დროსაც.

სხვა სახელოსნო და საკულტურო საქმეებთა ცოდნას ჩვენ არ მოვსთვლით, რითაც ლაზების წინაპრებით უხვათ და მრავლათ იყვნენ დაჯილდოვებულნი. ესეც კმარა მის საფუძვლად, რომ ვიცოდეთ ლაზების კულტურული სამზადისი, ვიდრე მათ ოსმალეთი დაიმორჩილებდა.

ეხლა ლაზებმა დაიკვირვენ თავიანთ უწინდელს მდგომარეობას, შეადარონ უწინდელ ლაზების კულტურული სამზადისი თავის ძველს წინაპართა ცოდნას, ეს ცოდნანი თუნდ სიტყვით ჩამოსთვალონ და მე იმედით მაქვს, რომ ლაზები ნათლად და უეჭველად დარწმუნდებიან იმაზე, რომ იგინი დღეს აღარ არიან ისინი, რაც წინეთ იყვნენ, ამიტომ საჭიროა არის ლაზების გამხნევება, აღორძინება და ძიება ისტორიულის ჭეშმარიტების, უამისოთ ლაზები ყოველთვის უკან ჩამორჩენილ ხალხათ იქმნებიან ხმობილნი და ეს კიდევ არ ეპატიებათ მათ და ხამეტნურ დიდის წარსულის ისტორის მქონე ლაზებს და ლაზისტანს.

ზ. ჭ.

## ხელოვნება

სახ. გან. კომის. ხელოვნების განყოფილებამ.

— დაადგინა თეატრ „კანორამის“ აშენება დამთავროს- მისი აგება დაწყებული იყო კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ხელოვნების განყოფილებაში დაინიშნა განსაკუთრებული კომისია (გ. გრინევსკის თავმჯდომარეობით), რომელმაც ზომები უნდა მიიღოს თეატრის სასწრაფოთ დასამთავრებლად.

**გამომხატველ ხელოვნების სექცია.**

გამომხატველ ხელოვნების ქვე-განყოფილების საპედაგოგიო სექციის გამგედ დანიშნულია ამხ. მარიამ ეგიკოვისა.

**ძველ ნაშთთა დაცვა.**

ხელოვნების განყოფილების ძველნაშთთა დაცვის სექციის გამგედ დანიშნულია პროფესორი ჩუბინიძე.

**სამხატვრო ეროვნული გალერეა.**

ხელოვნების განყოფილების წინადადებით სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: გადაიდოს 30,000.000 მანეთი ხელნაწერების და სურათების შესაძენათ, სამხატვრო ეროვნულ გალერიისათვის.

**ქართულ ხელოვნების სასახლეში სწარმოებს**

სისტემატიური ორგანიზაციული ლიტერატურული კრებები, პირველი ორგანიზაციული კრება მოხდა სამშაბათს აპრილის 19. პოეტი გრიგოლ რობაქიძე გამოვიდა მოხსენებით თემაზე „ნოვალისის პოეტიკა“ მოხსენებელმა აღნიშნა ფრიად საინტერესო ეტაპები და „ნოვალისის მოქმედების მომენტები“. გრიგოლ რობაქიძის მოხსენება მოისმინეს იქამ დიდის ყურადღებით მრავალ რიცხოვან ქართველ მწერალთა მიერ. განზრახულია მთელი წყება მოხსენებებისა სალიტერატურო თემებზე. ამ კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიათ.

**უკრაინული წარმოდგენები**

სომხურ კლუბის თეატრში 24 აპრილს, დაიწყო უკრაინულ მსახიობთა წარმოდგენები. დადგმულ იქმნა მუსიკალური დრამა „ტარას ბულბა“ წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა. ტარას ბულბას როლს ასრულებდა გამოცდილი და ნიჭიერი აქტიორი ლევიცკი, რომელმაც ნათლად გადმოგვცა ტარასის მშვენიერი ტიპი. თეატრი სავსე იყო.

## ტფილისის გუბერნიის რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა

მოხსენების შემდეგ რევკომის თავმჯდომარემ შინ. საქ. კომისარმა ამხ. კვირკველიამ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის ეტაპები: სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემაში. თქვა ამხ. კვირკველიამ, უნდა გავარჩიოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი, ორგანიზაციული და პოლიტიკური. ყოველ სახელმწიფოს საერთოდ ძირითადი ნიშანი არის, ის რომ სახელმწიფო არის დამონავების კლასიური აპარატი. ჩვენ, კომუნისტები აშკარად ვაცხადებთ, რომ ერთ შემთხვევაში ბატონობს ერთი კლასი, მეორეში—მეორე და არ არის სახელმწიფო, სადაც არ იყოს ძალდატანება, დამონავება. რუსეთსა და საქართველოში სახელმწიფოს აღმშენებლობის სათავე ხელთ უპყრია მუშათა კლასს—პროლეტარიატს. მაშასადამე ის არის გაბატონებული კლასი და სახელმწიფო აპარატი ემსახურება ბურჟუაზიის დამარცხების მიზანს. ამგვარათ ხელისუფლება იმ ორწყობაში საბჭოთა ხელისუფლება არ შეიძლება, რომ განსხვავებულ იყოს, სხვა სახელმწიფოთაგან. განსხვავება არის და კიდევაც უნდა იყოს მეორე მომენტში, სახელდობრ პოლიტიკურ მომენტში. თუ საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია უნდა იყოს ერთი და იგივე, მაშინ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სხვა და სხვა იმ ქვეყნებში სადაც პროლეტარიატი სდგას სრულ გაფურჩქვნის საფეხურზე თავიანთ კლასიური ინტერესების სწორი შეგნების ახრით, იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი შეიძლება დაუპირდაპირდეს, როგორც მოისხენ, ეკონომიურად ჩამორჩენილი ერთეული [illegible] ბურჟუაზიის პოლიტიკას. საბჭოთა-ხელისუფლებას შეუძლიან და უნდა იყოს კიდეც პირდაპირი [illegible] და დაუნდობელი. იმ ქვეყნებში კი, სადაც ეკონომიურ კულტურის განვითარება ჯერ ვერ გადაუჭიმიათ წვრილ-ბურჟუაზიულ წარმოების საზღვრებიდან, სადაც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ჩამოყალიბებული პროლეტარულ მოძრაობის სახე, იქ საბჭოთა ხელისუფლება არ შეიძლება იყოს პირდაპირი და პროლეტარულ რევოლუციის სწორედ მიხვეულ-მოხვეულ გზით სიარული.

საქართველოში, ახალ სახელმწიფოებრივ დასაწყისის დამყარებისას, ჩავაკვირდეთ რა ხალხის ცხოვრებას, მხედველობაში, რომ ვილაპარაკებთ წვრილ ბურჟუაზიაში. რუსეთის ექსპერიმენტები აქ არ გამოუყენებიათ და აქეთ აიხსენება, რომ ამხანაგებს, რომლებიც [illegible] რუსეთში გაუკეთებიათ ეს უნდა ეყოფა. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრის განსაკუთრებულებების და თავისებურებათა გამო საბჭოთა ხელისუფლებას არა აქვს არავითარი პოლიტიკური ტრაფარეტი, პოლიტიკა ყოველთვის უნდა იყოს მოქნილი. აუცილებელია, რომ ეს დებულება იმ კომუნისტურ ხელისუფლების სახელით, რომელიც წარმოადგენს ჩვენს იდეალს უნდა მეითვისოს თვითეულმა ამხანაგმა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ჯერ კიდევ იმყოფება მიწყობის სტადიაში და ამიტომ არის დაწყებული ჯერ დროებით რევკომები, რომლის შევალებთ ჩვენ ამორჩეულ ორგანოს დაწყებას არ შეიძლება ახლა ითქვას, რადგანაც ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩქარა შევსძლებთ ჩვენ გამტკიცებას, იმდენათ რომ დავიწყოთ ნორმალური ცხოვრება. ამ რიგათ რესპუბლიკის სათავეში სდგას საქართველოს რევკომი, რომელიც დაყოფილია კომისარიატებათ სახალხო კომისრის მეთაურობით, რომელიც არის რევკომის წევრი. ყველა მნიშვნელოვან საკითხებს აღასრულებს მხოლოდ რევკომი და დეკრეტების სახით გამოეც[...]

სახალხო კომისარიატთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს [illegible] სათო კომისარიატი. თუ ჩვენ ვერ შ[...]ძლებთ საქართველოს [illegible] სოფლების მუშათა და გლეხების მო[...]ხლეობის უზრუნველყოფას, ეს მოს[...]ლეობა, რომელმაც ჩვენთან უნდა იარ[...] თავიანთ სოციალურ ინტერესების [...] მო ჩვენ აღარ გამოგვყვებიან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აქვს ის უპირატესობით მნიშვ[...]ლობა, რომ მხოლოდ ამ სახალხო კო[...]სარიატის საშუალებით შეუძლიათ [...] ნარჩენ კომისარიატებს გაატარონ თ[...]ვიანთი დადგენილებანი და გადაწყ[...]ტილებანი. თვითეული სახალხო კო[...]სარიატი თავის რიგად იყოფა რამო[...]ნიმე განყოფილებად, და ეს უკანასკ[...]ლი კი მთელ რიგ ქვეგანყოფილებათ[...].

სამაზრო რევკომები იმავე წყობა, როგორც ცენტრალური. დე[...]ლების თანახმად სამაზრო რევკომე[...] თვითომეტი განყოფილება უნდა იყ[...] მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რასაკვი[...]ველია, რომ აუცილებლათ გაიხს[...] ისინი. განყოფილებები უნდა აიწყ[...] მხოლოდ საჭიროების მიხედვით და [...] თანხმად მუშაობის გარჩევის დრ[...] სამაზრო რევკომის განყოფილების [...] მეთა გამგე უნდა წარუდგინოს სა[...]ხადო სახალხო კომისარიატს დასამტ[...]ცებლად. როდესაც სახალხო კომისა[...]ტი დაამტკიცებს, გამგეს, სამაზრო რ[...]კომს უფლება არ აქვს სახალხო კო[...]სარიატის ნებადაურთველად გადაა[...]ნოს იგი. სამაზრო რევკომმა უნდა [...]ზავნოს ამის შესახებ დასაბუთებუ[...] მოხსენება სახალხო კომისარიატში. [...]ყოფილებანი ადგილებზე დებულ[...] სათანადო სახალხო კომისარიატე[...] და უფლება განკარგულებებს, რომ[...] გარგლებიც უნდა იძლეოდნენ, [...]რამ ამასთანავე სამაზრო რევკო[...] უფლება ეძლევა მიაცეს ახალი [...]ხეთ საერთო დებულების ფარგლ[...] და მაზრის საზღვრებში. ადგილო[...] ადგილებზე რევკომს შეუძლიან კო[...]როლი გაუწიოს განყოფილებას, [...]რამ განყოფილების კონსტრუ[...]აში ჩარევის ნება არ აქვს. ა[...]ხაგან მართვა-გამგეობის განყოფი[...] თვალყურს ადევნებს ადგილობრივ[...] ბჭოთა ხელისუფლების ორგანიზა[...] ხელისუფლების საორგანიზაციო მუშ[...]აო ადგილებზე და ამ ხელისუფლ[...] სწორი მოქმედება, არის ყველაზე [...] [illegible] მთავარი საქმე საბჭოთა [...]რესპუბლიკის საქართველოში.

რედაქტორი თედო ღლონტი
გამომცემელი [illegible] კომიტეტი

**დაიკარგა** პირადობის მოწ[...] და შესავალ[...] [illegible] მიცემული სახელმწიფო [...] სიღნაღის - [illegible] ქალიშვილის სახელზე, რომელიც [...] გაუქმებულად ჩაითვალოს.

**დაიკარგა** კოოპერატივ „მ[...] ხე“-ს წიგნაკი [...] კოსტ. კ. თუთაშხიაშვილის სახელზე [...]ცემული.

**დაიკარგა** კოოპერატივ „მ[...] ხე“-ს წიგნაკი [...] სა ლ. [illegible]შვილის სახელზე [...]მული.

**დაიკარგა** პირადობის მო[...] აა სახელმწიფო[...] [illegible] მოცემული [...] ფაკულტ. სტ. [illegible] ხეიშვილ გთხოვთ ჩასთვალოთ გა[...] ბულად.

**დაიკარგა** (სანქტო) [...] [illegible] № 1757 მიცემული საკომენდანტო [...] საქართველოდან იონა სამსონიძე[...] ლამის სახელზე გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და [...] მათემატიკის მასწავლებელი ი. [...]

**აბზაღიძის საშუალო სასწავლებ[ელი]**

ყოველ კლასში [illegible] კლასის [illegible] ალექსის ქუჩ. კუთხე 25—5, 9—[...] 4—6 ს.

სტამბა „სახალხო საქმე“ კალოუბნის ქუჩა № 14.